საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA

№ 2438401 28/09 2016 წ.

ააიპ „საქართველოს რეგორმების ასოციაციის"
ფაქტ–მეტრის მთავარ რედაქტორს
ბატონ დიმიტრი ავალიანს

GRASS
ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
წერილის რეგისტრაციის № 160
30 09 2016 წ.

ბატონო დიმიტრი,

თქვენი №219 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო–ანალიტიკური დეპარტამენტის ინფორმაციით, სისხლის სამართლის დანაშაულთან დაკავშირებით სტატისტიკური ანგარიშის მომზადება აღნიშნული დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრში წარმოებს იუსტიციის სამინისტროსთან კოორდინირებით შექმნილი ერთიანი ელექტრონული სტატისტიკური მოდულის მეშვეობით საანგარიშო წლის ყოველი მომდევნო თვის დასაწყისში (მაგ. იანვრის თვის სტატისტიკური მონაცემების ანგარიშის მომზადება ხდება თებერვლის თვის დასაწყისში). ყოველთვიური სტატისტიკა ასახავს კონკრეტული თვის საანგარიშო პერიოდში რეგისტრირებული და გახსნილი დანაშაულის მონაცემებს, ხოლო კუმულატიური - კონკრეტული პერიოდის (საანგარიშო წლის იანვრის თვიდან კონკრეტული თვის ჩათვლით, მაგ., იანვარ-თებერვალი, იანვარ-მარტი და ა.შ.) ბოლოსთვის არსებული რეგისტრირებული და გახსნილი დანაშაულის სტატისტიკას.

სტატისტიკის რთული ბუნებიდან გამომდინარე, კუმულატიური სტატისტიკის დაანგარიშება არ შეიძლება ცალკეული თვეების მონაცემთა დაჯამებით, ვინაიდან მიმდინარე თვეში რეგისტრირებული დანაშაული, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრული საგამოძიებო-პროცესუალური მოქმედებების შესაბამისად, შესაძლებელია შეწყდეს, შეიცვალოს კვალიფიკაცია, ერთი რაიონული საგამოძიებო დანაყოფის მიერ დაწყებული საქმე გადაეცეს სხვა რაიონულ საგამოძიებო დანაყოფს და ა.შ., რაც აისახება მომდევნო თვეების სტატისტიკურ ანგარიშში, ხოლო მიმდინარე თვის სტატისტიკა რჩება უცვლელად.

შესაბამისად, დანართის სახით წარმოგიდგენთ მონაცემებს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტისა და მის დაქვემდებარებაში მყოფი რაიონული დანაყოფების მიერ რეგისტრირებულ დანაშაულთან დაკავშირებით 2015 წლის და 2016 წლის იანვარ-მარტის, იანვარ-ივნისის და იანვარ-აგვისტოს მდგომარეობით.

2013 წლამდე რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკური მონაცემების დათვლა წარმოებდა ძველი მეთოდოლოგიით. შეწყვეტილი სისხლის სამართლის საქმეები,

0114, თბილისი, გ.გულუას ქ.10 ; ტელ.: (+995 32) 2411068 / ფაქსი: (+995 32) 2411005
10, .G.Gulua str, Tbilisi 0114, Georgia, Tel.:(+995 32) 2411068 / Fax: (+995 32) 2411005
www.police.ge; e-mail: police@mia.gov.ge

მიუხედავად შეწყვეტის საფუძვლისა, სტატისტიკურ მონაცემებში არ აისახებოდა. იმავე პერიოდში საქმის გახსნილად გამოცხადების ერთადერთ საფუძველს ბრალის წარდგენის შესახებ დადგენილება წარმოადგენდა. იმ დროისათვის მოქმედ სააღრიცხვო სისტემას არ გააჩნდა ბრალის კომპონენტის გარეშე საქმის გახსნილად ჩათვლის მექანიზმი, ამიტომ, რათა არ მომხდარიყო გაუხსნელი საქმეების გაუმართლებელი გაზრდა, ასეთი დანაშაულების ერთიანი კონსოლიდირებული ანგარიშის ფორმაში ასახვა არ ხდებოდა.

2013 წლიდან სტატისტიკური მონაცემების დათვლა წარმოებს ახალი მეთოდოლოგიის გამოყენებით.

დანაშაული გახსნილად ჩაითვლება შემდეგ შემთხვევებში:

- სისხლის სამართლის საქმეზე დადგენილია დანაშაულის ჩამდენი პირი და გამოტანილია დადგენილება პირის ბრალდების შესახებ;
- პროკურორის მიერ გამოტანილია დევნის არდაწყების დადგენილება (მაგ., დანაშაულის ჩამდენი დადგენილი და გამოვლენილია, მაგრამ პროკურორი იყენებს დისკრეციულ უფლებამოსილებას);
- ნებისმიერი ისეთი საფუძვლით შეწყვეტილი სისხლის სამართლის საქმე, რომელიც დანაშაულს არ გამორიცხავს (პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება, განრიდება, მედიაცია, ქმედითი მონანიება, ბრალის არარსებობა...), მიმდინარე კონსოლიდირებული სტატისტიკური ანგარიშისათვის წარმოადგენს სააღრიცხვო ობიექტს და გახსნილად აისახება;
- სისხლის სამართლის საქმე, რომელზეც დადგენილი არ არის დანაშაულის ჩამდენი პირი, გაუხსნელად ჩაითვლება.
- სისხლის სამართლის საქმე არ არის შეწყვეტილი, მაგრამ შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა, გარდა იმ საფუძვლით შეწყვეტისა, რომელიც დანაშაულს არ გამორიცხავს, დანაშაული ჩაითვლება გაუხსნელად.

დანართი: 1 (ერთი) ფურცელი.

პატივისცემით,

შსს ადმინისტრაციის საჯარო ინფორმაციის
სამმართველოს უფროსი — გიორგი სახოკია

მსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრის სტატისტიკისა და მონაცემთა მართვის სამმართველოში არსებული ცალკეული სტატისტიკური მონაცემები:		
ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტისა და მის დაქვემდებარებაში მყოფი რაიონული დანაყოფები	რეგისტრირებული დანაშაული	გახსნილი
2015 წ.	9339	5242
2016 წ. იანვარ-მარტი	2876	1459
2016 წ. იანვარ -ივნისი	5560	3138
2016 წ. იანვარ -აგვისტო	7321	4082